აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს ბიუროს გადაწყვეტილება სამართლებრივი აქტის პროექტის განხილვის პროცედურის დაწყების შესახებ

ოქმი 3

7 მარტი 2023 წელი

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკი კანონის პროექტი - „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე (09-01-08/42 23.02.2023 წელი)

გამარტივებული წესით განხილვა

დასახელება

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს წევრები: დავით გაბაიძე ვლადიმერ მგალობლიშვილი	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს წევრები: დავით გაბაიძე ვლადიმერ მგალობლიშვილი
ავტორი	ინიციატორი

საკონსტიტუციო, იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა კომიტეტი

წამყვანი *კომიტეტი*

23.02.2023 წელი	წამყვანი კომიტეტი -28.03.2023 წელი სხვა კომიტეტები -22.03.2023 წელი	საგაზაფხულო სესია
უმაღლესი საბჭოსთვის წარდგენის თარიღი	კომიტეტის სხდომაზე განხილვის სავარაუდო თარიღი	სხდომაზე განხილვის სავარაუდო თარიღი

ადამიანის უფლებათა დაცვის საკითხთა კომიტეტი

კომიტეტები, რომელთა დასკვნები სავალდებულოა

უმაღლესი საბჭოს ბიურო ადგენს:
უმაღლესი საბჭოს კომიტეტებსა და ფრაქციებში დაიწყოს სამართლებრივი აქტის პროექტის განხილვა.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე,
ბიუროს სხდომის თავმჯდომარე

ტიტე არაშიძე

საქართველო

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის

უმაღლესი საბჭოს წევრი

ტელ: +995 (0) 32 228 54 48, ელ.ფოსტა contact@sca.ge, ბათუმი, ლ. ასათიანის ქ. №37

საორგანიზაციო და საქმისწარმოების
დეპარტამენტის უფროსს

ბატონ **გიორგი ბერიძეს**

ბატონო გიორგი,

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციის მე-18 მუხლის პირველი პუნქტის, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტის 84-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 85-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა" ქვეპუნქტისა და 86-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, საკანონმდებლო ინიციატივის წესით წარმოგიდგენთ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის პროექტს – „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ" აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტის 101-ე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, უმაღლესი საბჭოს ბიუროს მივმართავ თხოვნით კანონის პროექტის გამარტივებული წესით - ერთი მოსმენით განხილვის შესახებ გადაწყვეტილების მიღების თაობაზე.

გთხოვთ, კანონის პროექტს მისცეთ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტით გათვალისწინებული მსვლელობა.

დანართი: -6- ფურცელი

პატივისცემით,

დავით გაბაიძე

ვლადიმერ მგალობლიშვილი

08-01-08/42
23 02 2023
7

<u>პროექტი</u>

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
კანონი
„აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1. „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის (საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს ვებგვერდი, (www.matsne.gov.ge) 29.06.2012, სახელმწიფო სარეგისტრაციო კოდი: 010240020.30.056.016015) 76^2 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 76^2. 2032 წლის ჩათვლით ჩასატარებელი უმაღლესი საბჭოს არჩევნებისთვის პარტიული სიის წარდგენის ზოგიერთი დროებითი წესი

1. 2032 წლის ჩათვლით ჩასატარებელი უმაღლესი საბჭოს არჩევნებისათვის პარტიული სიის წარდგენისას გამოიყენება ამ კანონით დადგენილი წესები და ვადები, თუ ამ მუხლით სხვა რამ არ არის განსაზღვრული.

2. უმაღლესი საბჭოს 2024 წლის 26 ოქტომბრის არჩევნებამდე ჩასატარებელი უმაღლესი საბჭოს არჩევნებისათვის, ასევე უმაღლესი საბჭოს 2024 წლის 26 ოქტომბრის არჩევნებისა და ამ არჩევნების შემდგომი, 2028 წლამდე ჩასატარებელი უმაღლესი საბჭოს არჩევნებისათვის პარტიული სიის შედგენის წესს განსაზღვრავს პოლიტიკური პარტია, იმგვარად, რომ უსკოს თავმჯდომარისათვის წარდგენილი პარტიული სიის ყოველ ოთხეულში ერთი პირი მაინც უნდა იყოს ქალი. შესაბამისმა პოლიტიკურმა პარტიამ პარტიული სია უსკოს თავმჯდომარეს უნდა წარუდგინოს არჩევნების დღემდე არაუგვიანეს 30-ე დღისა. თუ პოლიტიკური პარტიის მიერ წარდგენილ პარტიულ სიაში არ არის დაცული ამ პუნქტით დადგენილი სქესთა შორის ბალანსი, პოლიტიკურ პარტიას უბრუნდება სია და ხარვეზის აღმოსაფხვრელად ეძლევა 3 დღის ვადა. თუ ხარვეზი არ აღმოიფხვრა, პარტიული სია რეგისტრაციაში არ გატარდება.

3. უმაღლესი საბჭოს 2028 წლის 28 ოქტომბრის არჩევნებისა და ამ არჩევნების შემდგომი, 2032 წლის ჩათვლით ჩასატარებელი უმაღლესი საბჭოს არჩევნებისათვის პარტიული სიის შედგენის წესს განსაზღვრავს პოლიტიკური პარტია, იმგვარად, რომ უსკოს თავმჯდომარისათვის წარდგენილი პარტიული სიის ყოველ სამეულში ერთი პირი მაინც უნდა იყოს ქალი. შესაბამისმა პოლიტიკურმა პარტიამ პარტიული სია უსკოს თავმჯდომარეს უნდა წარუდგინოს არჩევნების დღემდე არაუგვიანეს 30-ე დღისა. თუ პოლიტიკური პარტიის მიერ წარდგენილ პარტიულ სიაში არ არის დაცული ამ პუნქტით დადგენილი სქესთა შორის ბალანსი, პარტიას უბრუნდება სია და ხარვეზის აღმოსაფხვრელად ეძლევა 3 დღის ვადა. თუ ხარვეზი არ აღმოიფხვრა, პარტიული სია რეგისტრაციაში არ გატარდება.

4. თუ უმაღლესი საბჭოს გამოკლებული ქალი წევრი არჩეული იყო არჩევნებში დამოუკიდებლად მონაწილე პოლიტიკური პარტიის პარტიული სიით, მის ადგილს 1 თვის ვადაში იკავებს იმავე პარტიულ სიაში მომდევნო უმაღლესი საბჭოს წევრობის ქალი კანდიდატი, ხოლო თუ უმაღლესი საბჭოს გამოკლებული მამაკაცი წევრი არჩეული იყო არჩევნებში დამოუკიდებლად მონაწილე პარტიის პარტიული სიით, მის ადგილს 1 თვის

ვადაში იკავებს იმავე პარტიულ სიაში მომდევნო უმაღლესი საბჭოს წევრობის კანდიდატი. თუ აღნიშნულმა უმაღლესი საბჭოს წევრობის ქალმა კანდიდატმა ვაკანსიის წარმოშობიდან 15 დღეში თანხმობა არ განაცხადა უმაღლესი საბჭოს წევრობაზე, მის ადგილს დაიკავებს პარტიულ სიაში მისი მომდევნო უმაღლესი საბჭოს წევრობის ქალი კანდიდატი, ხოლო თუ აღნიშნულმა უმაღლესი საბჭოს საბჭოს წევრობის მამაკაცმა კანდიდატმა ვაკანსიის წარმოშობიდან 15 დღეში თანხმობა არ განაცხადა უმაღლესი საბჭოს წევრობაზე, მის ადგილს დაიკავებს იმავე პარტიულ სიაში მომდევნო უმაღლესი საბჭოს წევრობის წევრობის კანდიდატი. იგივე წესი ვრცელდება უმაღლესი საბჭოს წევრობის ყოველ მომდევნო შესაბამის კანდიდატზე, თუ უმაღლესი საბჭოს წევრობის წინა შესაბამისმა კანდიდატმა 15 დღეში თანხმობა არ განაცხადა უმაღლესი საბჭოს წევრობაზე. თუ პოლიტიკური პარტიის მიერ წარდგენილ პარტიულ სიაში ამ პუნქტით გათვალისწინებული უმაღლესი საბჭოს წევრობის შესაბამისი კანდიდატი აღარ არის, მანდატი უქმდება.“.

მუხლი 2. ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
მთავრობის თავმჯდომარე თორნიკე რიჟვაძე

ბათუმი,
2023 წლის
№

განმარტებითი ბარათი

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის პროექტზე „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე

ა) ზოგადი ინფორმაცია კანონის პროექტის შესახებ:

ა.ა) კანონის პროექტის მიღების მიზეზი:

„აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის 76^2 მუხლით დარეგულირებულია 2032 წლამდე ჩასატარებელი აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნებისათვის პარტიული სიების წარდგენის ზოგიერთი დროებითი წესი. აღნიშნული მუხლით გათვალისწინებულია უმაღლეს საბჭოში ქალთა წარმომადგენლობის გაძლიერება - ე. წ. გენდერული კვოტირება.

აღნიშნული საკითხი ასევე დარეგულირებულია საქართველოს ორგანული კანონით „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“, რომელშიც 2023 წლის თებერვალში განხორციელდა ცვლილება. აღნიშნული ცვლილება კი დაკავშირებულია საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2 გადაწყვეტილებასთან/განჩინებასთან, კერძოდ:

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2020 წლის 25 სექტემბრის N3/3/1526 გადაწყვეტილებით „ძალადაკარგულად იქნა ცნობილი 203-ე მუხლის მე-2 პუნქტის პირველი წინადადების ის ნორმატიული შინაარსი, რომელიც ადგენდა, რომ საქართველოს პარლამენტის 2024 წლის 26 ოქტომბრის არჩევნებამდე ჩასატარებელი საქართველოს პარლამენტის არჩევნებისათვის საარჩევნო სიის ყოველ ოთხეულში ერთი პირი მაინც უნდა იყოს მამაკაცი“;

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2021 წლის 21 ოქტომბრის N3/2/1647 განჩინებით „ძალადაკარგულად იქნა ცნობილი 203-ე მუხლის მე-8 პუნქტის ის ნორმატიული შინაარსი, რომელიც ადგენდა, რომ 2028 წლამდე ჩასატარებელი მუნიციპალიტეტის ორგანოთა საერთო არჩევნებისათვის საარჩევნო სიის ყოველ სამეულში ერთი პირი მაინც უნდა იყოს მამაკაცი“, ასევე „ძალადაკარგულად იქნა ცნობილი 203-ე მუხლის მე-10 პუნქტის ის ნორმატიული შინაარსი, რომელიც პროპორციული საარჩევნო სისტემით არჩეული საკრებულოს წევრი მამაკაცის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის შემთხვევაში მის ადგილმონაცვლედ ითვალისწინებს პარტიულ სიაში მყოფ მომდევნო მამაკაცს“.

როგორც ზემოთ აღინიშნა, საქართველოს ორგანულ კანონში „საქართველოს საარჩევნო“ კოდექსი“ და „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონი გენდერულ კვოტირებასთან დაკავშირებით იდენტურ წესებს ადგენს/ადგენდა შესაბამისად და იმისათვის, რომ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებამ/განჩინებამ საკანონმდებლო ტექნიკის კუთხით ასახვა პოვოს „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონში, მიზანშეწონილია „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის 76^2 მუხლის ცვლილება.

ამასთანავე, იმისათვის, რომ უმაღლეს საბჭოში უზრუნველყოფილ იქნეს ქალთა წარმომადგენლობის გაზრდა, მიზანშეწონილია, უმაღლეს საბჭოსთან დაკავშირებული ე. წ. გენდერული კვოტირების დროებითი ნორმის მოქმედების 4 წლით გაგრძელება, როგორც ეს მოხდა საქართველოს საქართველოს პარლამენტთან და მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობით ორგანოსთან – საკრებულოსთან მიმართებაში.

ა.ბ) კანონის პროექტის მიზანი:

კანონპროექტის მიზანია, ერთი მხრივ „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ" აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონით დადგენილი ე.წ. „გენდერული კვოტირების" საკითხის მიმართ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების/განჩინების სულისკვეთების გაზიარება, ხოლო მეორე მხრივ საქართველოს ორგანული კანონით „საქართველოს საარჩევნო კოდექსი" დადგენილი ნორმების გაზიარება და საკითხთან დაკავშირებით ერთიანი სტანდარტის არსებობა.

ა.გ) კანონის პროექტის ძირითადი არსი:

კანონპროექტის შესაბამისად, „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ" აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის 76^2 მუხლი ყალიბდება შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 76^2. 2032 წლის ჩათვლით ჩასატარებელი უმაღლესი საბჭოს არჩევნებისთვის პარტიული სიის წარდგენის ზოგიერთი დროებითი წესი

1. 2032 წლის ჩათვლით ჩასატარებელი უმაღლესი საბჭოს არჩევნებისათვის პარტიული სიის წარდგენისას გამოიყენება ამ კანონით დადგენილი წესები და ვადები, თუ ამ მუხლით სხვა რამ არ არის განსაზღვრული.

2. უმაღლესი საბჭოს 2024 წლის 26 ოქტომბრის არჩევნებამდე ჩასატარებელი უმაღლესი საბჭოს არჩევნებისათვის, ასევე უმაღლესი საბჭოს 2024 წლის 26 ოქტომბრის არჩევნებისა და ამ არჩევნების შემდგომი, 2028 წლამდე ჩასატარებელი უმაღლესი საბჭოს არჩევნებისათვის პარტიული სიის შედგენის წესს განსაზღვრავს პოლიტიკური პარტია, იმგვარად, რომ უსკოს თავმჯდომარისათვის წარდგენილი პარტიული სიის ყოველ ოთხეულში ერთი პირი მაინც უნდა იყოს ქალი. შესაბამისმა პოლიტიკურმა პარტიამ პარტიული სია უსკოს თავმჯდომარეს უნდა წარუდგინოს არჩევნების დღემდე არაუგვიანეს 30-ე დღისა. თუ პოლიტიკური პარტიის მიერ წარდგენილ პარტიულ სიაში არ არის დაცული ამ პუნქტით დადგენილი სქესთა შორის ბალანსი, პოლიტიკურ პარტიას უბრუნდება სია და ხარვეზის აღმოსაფხვრელად ეძლევა 3 დღის ვადა. თუ ხარვეზი არ აღმოიფხვრა, პარტიული სია რეგისტრაციაში არ გატარდება.

3. უმაღლესი საბჭოს 2028 წლის 28 ოქტომბრის არჩევნებისა და ამ არჩევნების შემდგომი, 2032 წლის ჩათვლით ჩასატარებელი უმაღლესი საბჭოს არჩევნებისათვის პარტიული სიის შედგენის წესს განსაზღვრავს პოლიტიკური პარტია, იმგვარად, რომ უსკოს თავმჯდომარისათვის წარდგენილი პარტიული სიის ყოველ სამეულში ერთი პირი მაინც უნდა იყოს ქალი. შესაბამისმა პოლიტიკურმა პარტიამ პარტიული სია უსკოს თავმჯდომარეს უნდა წარუდგინოს არჩევნების დღემდე არაუგვიანეს 30-ე დღისა. თუ პოლიტიკური პარტიის მიერ წარდგენილ პარტიულ სიაში არ არის დაცული ამ პუნქტით დადგენილი სქესთა შორის ბალანსი, პარტიას უბრუნდება სია და ხარვეზის აღმოსაფხვრელად ეძლევა 3 დღის ვადა. თუ ხარვეზი არ აღმოიფხვრა, პარტიული სია რეგისტრაციაში არ გატარდება.

4. თუ უმაღლესი საბჭოს გამოკლებული ქალი წევრი არჩეული იყო არჩევნებში დამოუკიდებლად მონაწილე პოლიტიკური პარტიის პარტიული სიით, მის ადგილს 1 თვის ვადაში იკავებს იმავე პარტიულ სიაში მომდევნო უმაღლესი საბჭოს წევრობის ქალი კანდიდატი, ხოლო თუ უმაღლესი საბჭოს გამოკლებული მამაკაცი წევრი არჩეული იყო არჩევნებში დამოუკიდებლად მონაწილე პარტიის პარტიული სიით, მის ადგილს 1 თვის

ვადაში იკავებს იმავე პარტიულ სიაში მომდევნო უმაღლესი საბჭოს წევრობის კანდიდატი. თუ აღნიშნულმა უმაღლესი საბჭოს წევრობის ქალმა კანდიდატმა ვაკანსიის წარმოშობიდან 15 დღეში თანხმობა არ განაცხადა უმაღლესი საბჭოს წევრობაზე, მის ადგილს დაიკავებს პარტიულ სიაში მისი მომდევნო უმაღლესი საბჭოს წევრობის ქალი კანდიდატი, ხოლო თუ აღნიშნულმა უმაღლესი საბჭოს საბჭოს წევრობის მამაკაცმა კანდიდატმა ვაკანსიის წარმოშობიდან 15 დღში თანხმობა არ განაცხადა უმაღლესი საბჭოს წევრობაზე, მის ადგილს დაიკავებს იმავე პარტიულ სიაში მომდევნო უმაღლესი საბჭოს წევრობის წევრობის კანდიდატი. იგივე წესი ვრცელდება უმაღლესი საბჭოს წევრობის ყოველ მომდევნო შესაბამის კანდიდატზე, თუ უმაღლესი საბჭოს წევრობის წინა შესაბამისმა კანდიდატმა 15 დღეში თანხმობა არ განაცხადა უმაღლესი საბჭოს წევრობაზე. თუ პოლიტიკური პარტიის მიერ წარდგენილ პარტიულ სიაში ამ პუნქტით გათვალისწინებული უმაღლესი საბჭოს წევრობის შესაბამისი კანდიდატი აღარ არის, მანდატი უქმდება.“.

კანონპროექტის მე-2 მუხლის თანახმად, კანონი ამოქმედდება გამოქვეყნებისთანავე.

ბ) კანონპროექტის ფინანსური დასაბუთება:

ბ.ა) კანონპროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო;

კანონპროექტი არ საჭიროებს დამატებით ხარჯებს.

ბ.ბ) კანონპროექტის გავლენა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე;

კანონპროექტი არ მოახდენს გავლენას ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე.

ბ.გ) კანონპროექტის გავლენა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე;

კანონპროექტი არ იქონიებს გავლენას ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე.

ბ.დ) აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ახალი ფინანსური ვალდებულებები;

კანონპროექტის მიღება არ წარმოქმნის ახალ ფინანსურ ვალდებულებებს.

ბ.ე) კანონპროექტის მოსალოდნელი ფინანსური შედეგები იმ პირთათვის, რომელთა მიმართაც ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება;

კანონპროექტის მიღება არ წარმოშობს ფინანსურ შედეგებს.

ბ[1]) ბავშვის უფლებრივ მდგომარეობაზე კანონის პროექტის ზეგავლენის შეფასება:

კანონის პროექტი უშუალო გავლენას არ ახდენს ბავშვის უფლებრივ მდგომარეობაზე.

გ) კანონის პროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები:

გ.ა) სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია/დაწესებულება, ექსპერტები, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს კანონპროექტის შემუშავებაში;

ასეთი არ არსებობს.

გ.ბ) კანონის პროექტის შემუშავებაში მონაწილე ორგანიზაციის (დაწესებულების) ან/და ექსპერტის შეფასება კანონპროექტის მიმართ;

ასეთი არ არსებობს.

დ) კანონის პროექტის ავტორი.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს წევრები - დავით გაბაიძე, ვლადიმერ მგალობლიშვილი.

ე) კანონის პროექტის ინიციატორი.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს წევრები - დავით გაბაიძე, ვლადიმერ მგალობლიშვილი.

„აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის იმ მუხლის მოქმედი სრული რედაქცია, რომელშიც წარმოდგენილი კანონის პროექტის შედის ცვლილება

მუხლი 76². 2032 წლამდე ჩასატარებელ უმაღლესი საბჭოს არჩევნებში პარტიული სიების წარდგენის დროებითი წესი

1. 2032 წლის ჩათვლით ჩასატარებელი უმაღლესი საბჭოს არჩევნებისათვის პარტიული სიების წარდგენისას გამოიყენება ამ კანონით დადგენილი წესები და ვადები, თუ ამ მუხლით სხვა რამ არ არის განსაზღვრული.

2. (ამოღებულია - 08.08.2020, №134).

3. უმაღლესი საბჭოს 2020 წლის 31 ოქტომბრის არჩევნების შემდგომ 2028 წლამდე ჩასატარებელი უმაღლესი საბჭოს არჩევნებისათვის პარტიული სიის შედგენის წესს განსაზღვრავს პოლიტიკური პარტია, იმგვარად, რომ უსკოს თავმჯდომარისათვის წარდგენილი პარტიული სიის ყოველ ოთხეულში ერთი პირი მაინც უნდა იყოს განსხვავებული სქესის წარმომადგენელი. შესაბამისმა პოლიტიკურმა პარტიამ პარტიული სია უსკოს თავმჯდომარეს უნდა წარუდგინოს არჩევნების დღემდე არაუგვიანეს 30-ე დღისა. თუ პოლიტიკური პარტიის მიერ წარდგენილ პარტიულ სიაში არ არის დაცული ამ პუნქტით დადგენილი სქესთა შორის ბალანსი, პარტიას უბრუნდება სია და ხარვეზის აღმოსაფხვრელად ეძლევა 3 დღის ვადა. თუ ხარვეზი არ აღმოიფხვრა, პარტიული სია რეგისტრაციაში არ გატარდება.

4. უმაღლესი საბჭოს 2028 წლის 28 ოქტომბრის არჩევნებისა და ამ არჩევნების მომდევნო, 2032 წლამდე ჩასატარებელი უმაღლესი საბჭოს არჩევნებისათვის პარტიული სიის შედგენის წესს განსაზღვრავს პოლიტიკური პარტია, იმგვარად, რომ უსკოს თავმჯდომარისათვის წარდგენილი პარტიული სიის ყოველ სამეულში ერთი პირი მაინც უნდა იყოს განსხვავებული სქესის წარმომადგენელი. შესაბამისმა პოლიტიკურმა პარტიამ პარტიული სია უსკოს თავმჯდომარეს უნდა წარუდგინოს არჩევნების დღემდე არაუგვიანეს 30-ე დღისა. თუ პოლიტიკური პარტიის მიერ წარდგენილ პარტიულ სიაში არ არის დაცული ამ პუნქტით დადგენილი სქესთა შორის ბალანსი, პარტიას უბრუნდება სია და ხარვეზის აღმოსაფხვრელად ეძლევა 3 დღის ვადა. თუ ხარვეზი არ აღმოიფხვრა, პარტიული სია რეგისტრაციაში არ გატარდება.

5. თუ უმაღლესი საბჭოს გამოკლებული წევრი არჩეული იყო არჩევნებში დამოუკიდებლად მონაწილე პოლიტიკური პარტიის პარტიული სიით, მის ადგილს 1 თვის ვადაში იკავებს იმავე პარტიულ სიაში მომდევნო იმავე სქესის უმაღლესი საბჭოს წევრობის კანდიდატი, თუ მან ვაკანსიის წარმოშობიდან 15 დღეში თანხმობა განაცხადა უმაღლესი საბჭოს წევრობაზე. წინააღმდეგ შემთხვევაში ვაკანტურ ადგილს დაიკავებს პარტიულ სიაში მისი მომდევნო იმავე სქესის უმაღლესი საბჭოს წევრობის კანდიდატი. თუ პარტიულ სიაში ასარჩევი იმავე სქესის უმაღლესი საბჭოს წევრობის კანდიდატი აღარ არის, ვაკანტურ ადგილს დაიკავებს სიაში უმაღლესი საბჭოს გამოკლებული წევრის მომდევნო უმაღლესი საბჭოს წევრობის კანდიდატი.

6. (ამოღებულია - 08.08.2020, №134).

საქართველო
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
უმაღლესი საბჭოს აპარატი

ტელ: +995 (0) 32 228 54 48, ელ.ფოსტა contact@sca.ge, ბათუმი, ლუკა ასათიანის 37

28/02/2023
N 281

281-09-02-11-3-202302281513

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი
საბჭოს აპარატის საორგანიზაციო და
საქმისწარმოების დეპარტამენტის
უფროსს ბატონ გიორგი ბერიძეს

დ ა ს კ ვ ნ ა

,,აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონში ცვლილების შეტანის
თაობაზე“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
კანონის პროექტის შესახებ

(N09-01-08/42, 23.02.2023 წ. ინიციატორი: აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
უმაღლესი საბჭოს წევრები - დავით გაბაიძე, ვლადიმერ მგალობლიშვილი)

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტის 85-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ბ“ ქვეპუნქტისა და 86-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს აპარატის იურიდიული და ადამიანური რესურსების მართვის დეპარტამენტის მიერ განხილულ იქნა ,,აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის პროექტი.

წარმოდგენილი კანონის პროექტი შეესაბამება ,,აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ნორმატიული აქტების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის მე-18 მუხლით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

პატივისცემით,
ვაჟა ცეცხლაძე

დეპარტამენტის უფროსი
იურიდიული და ადამიანური რესურსების მართვის დეპარტამენტი